

ლიტერატურა

საქართველო



ლიტერატურა საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

3 დეკემბერი 2021 წ. №32 (4031) გვ. გვ. გვ. გვ. გვ. 1 ლარი



„გთვისთხილებ, ნუთისხოვეთთი!“

თუნდაც როგორც ანდერძი მათთვის, ვისაც ქართველობა ეუხერხულება


ტარიელ ხარხელაური

ელანდება მწვერვალებს სიკვდილი დამთრგუნავი, როგორც წვიმის ღრუბლები უდაბნოთა ალმურში, მე კი ისევ დავრჩები მარადიულ მდუმრედ, მოარული ლანდივით ჩემს მწუხარე მამულში. ყველაფერი ახალი ძველთან მეუცხოება, ირვლივ შემაძრნუნები საგანგაში ხმებია, ძნელი მისაღებია უმორალო ცხოვრება, როცა სისხლნაკლულები ორგიერით თვრეშიან.

მე -

როგორც დრომოქმული ტრადიციის დამცველად შემამრევენ ალბათ და, ბევრსაც შევეზიზლები,

► ასასრული. გვ. გვ.



მე ვარ შენი ასასინი



თამაზ ნატოშვილი

საათი



ირაკლი გაგიშვილი

ტალანტის პრემიაზე



ვაჟა ქიმიას ხარისი

ანალიტიკური
აქცენტები



გურა გაერთვილის ხარისი

„გოგონა და
მასიზმარე კაცი“



ლიკა ძავაცია

კავანისში - გულის პრინციპი

გურა მომარისა - 70



ის, ერთი შეხედვით, ცალკე დგას, განცალკევებულის თავის კუნძულზე, მაგრამ, ამავე დროს, იმდენი საერთო აქს, იმდენად ჩენია, ერთი ნამითაც ვერ ნარმობდება თავს უიმისიდ, მისი მსოფლიმებულობისა და იდეების გარეშე.

გრძნობ, რომ რაღაც მოულის, მთლიანის, განუყოფელის, დაუშელის, ერთიანის ნაილობა და ეს უთუოდ სიქელეა - ბუნებითი სათნოება.

გულის პრინციპით მეტყველებს, წერს, მოქმედებს, ცხოვრობს, ამიტომ იოლია, მასში ეჭვი შეიტანო, დაემდურო, დააპრალო, უმტრო, მაგრამ ასევე იოლად იტანს, იოლად ხედება უსამართლობებს, რადგან კარგად იცის, სად დგას, რას აეკთებს, რას ელოდება.

ბევრი მონინაალმდეგებ ჰყავს, მაგრამ წინაალმდეგობაში არ ვარდება - არც საკუთან თავთან და არც იმსთან მიმართებით, ვისაც უნდა, რომ ის არ იყოს ისეთი, როგორიც არის.

თანმიმდევრულია.

შშეიღობისმყოფელია და იცის ბრძოლაც, სტრატეგიაც, ტაქტიკაც და გამარჯვების გზებზე დგომიაც.

სახელოვნ სამხედროთა შთამომავალია და ვერ აშინებს მილიტარისტული მუქარა და უპასუხისმგებლო მუნათო...

გურამ ღილაშვილია - პოეტი, პროზაიკოსი, ჰიბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ავტორი გამამარტებული რომანებისა: „ბავი ზღვის ოკეანე“, „პრეზიდენტის კატა“, „სათვალიანი ბომბა“, „შენთან უშენოდ“, „სოხუმში დაბრუნება“.

ნაიკითხეთ მისი ნანარმებები და მიხდებით, როგორი იყო სოხუმი თავის

საუკეთესო გამოვლინებაში და როგორი იქნებოდა ის იმ შემთხვევაში, მეორე გურამ ღილაშვილია რომ ჰყოლიდა საქართველოს - უსაზღვროდ ჰუმანური, თბილი, შინაარსიანი, რომანტიკული და მშვიდობიანი იქნებოდა, რაღა თქმა უნდა, ჩენი ზღვისისარა მარგალიტი, არ იქნებოდა დამდურება, გაყიფა, კონფლიქტი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ის ერთია, ერთადერთი და ორი ვერასოდეს იქნება.

ეს არის ის კაცი, ვისაც შეუძლია, სიძლვილი სიყვარულად, დაპირისპირება თანამშრომლობად და მრისხანება სიმშვიდედ გადაქციოს.

თავის დროზე საკენ-ჭუბერის ჯოჯოხეთური გზა რომ გამოირა, იქნებ იმიტომ გაგასნრო ერთი ნაბიჯით ადამიანობის ლამაზი არსის შეცნობაში.

„დევნილთა ულემტეხილით“ თვალდათვალ დაგვანახვა სიცოცხლის გარდუალობა, მშვიდობის შეუქცევადობა.

ბევრს ჰვინია, რომ ის ქართველებისა და აფხაზების შუში დგას, როგორც შეამავალი, მაგრამ, სიძლვილეში, შუში კი არა, თავის ადგილზე დგას და ორივე მხარეს აერთიანებს თავის თავში, თავის მრნამში, დღესაც მშვიდობისა და ერთგულების ენაზე ლაპარაკობს, როგორც მაშინ, როდესაც სოხუმში ერთად ვიყვით.

►► გამოცემის დასაწყისი „ლე-№30,31

გურიაშ გოგიაშვილი

- არა, მე ნაციონალისტი არა
ვარო, როგორ გეეადრებათო, -
ამოთქეა ერთხელ ჩაფიქრებულმა
- ზამთარი იყო თოვლიანი, თბი-
ლად ეცვა, ბუხრის ქუდი ეხურა ი-
სე, ბარებ აქვთ ვიტყვი, ნამდეილად
დიდი პენენიე ბრძანდებოდა კონ-
სტანტინე ბატონი. მუდამ კონწად
გამოიყენებოდა ზამთარ-ზაფხულ.
სილამაზის სალონიდან მოვდივა-
რო, იტყოდა. ცოტა თავი მოვინეს-
რიგეო. თბა შევისწორე, ფრჩხი-
ლებასაც მივხედეო. ჩვენს ქართველ
კაცებსო, მეტადრე ახალგაზრდებ-
სო, რატომდაც ეუხერხულებათ, ის
კი არა, ერცხვინებათო პედიკური
და მანიკიურიო. არადა, უუკუთუ ქა-
ლებმა იცანონ თავის მოვლა, კაცე-
ბი რით ჩამოვრჩებითო. ამ მხრივ,
ქალი თუ კაცი, რა ბედნაა! სი-
კონტავი ყველას „უნდაო“.

ვამს მაგის „ქართველის დედაზე“,
სოლოლაკის ქედი რომ გაუკარ-
ცხლებეკბია და იქიდან დაცურუბე-
ჩვენს ბებერ ახალგაზრდა დედაქა-
ლაქს. მერაბ ბერძენიშვილის „ალ-
გეთის ლეკვეთა“ მოსახლეველად
კი არაერთხელ ჩავსულვარო მარ-
ნეულს...

რუსი ხალხისადმი პატივისცე-
მში მე არავის დავუთმობ პირ-
ველობას. ცნობილია, მილიონები
კითხულობენ ჩემს რომანებს რუ-
სეთში, გარდა ამისა, არც მე დავრ-
ჩენილვარი იმათ ვალში. უკულითა-
დესი ნერილები კუძლვებინ უდიდეს
რუს მწერლებს - ლ. ტოლსტოის,
ფ. დოსტოევსკის, ნ. გოგოლს, მაგ-
რაბ ასეთი პატივისცემა ერთიან და
მონური მლიქვნელობა - მეორეო.

- მაშინ ჯაფარაიძეზე უცხოე-
ლობითო გამასხახულიერი - გა-

= ଅମ୍ବାରୀଶ୍ୱର, ଗନ୍ଧାରୀଶ୍ୱର ପା

ამშეუელმა პირველად და ერთდ-
როულად მივიღეთ რუსთაველის
პრემია. რატომ ჩემი ნახელყოფა-
რი არ არის-მეტქი, ხშირად მითქ-
ვამს მაგის „ქართვლის დედაზე“,
სოლოლაკის ქედი რომ გაუკარ-
ცხლდება და იქიდან დაცურუებს
ჩვენს ბებერ ახალგაზრდა დედაქა-
ლაქს. მერაბ ბერძნიშვილის „ალ-

მეც ისე ვერძნობდი, რომ არა-
კიძით ყოფილი „გონებამძიმე“ თუ
„გონებაქმნილი“. და აյგ მაღა ჩა-
ვუჯექი კიდევაც და 1939 ნელს
„ვშობებ“ „დიდოსტატი არსაკიძე“
(ჩემი აზრით, ჟეშმარიტად კაზმუ-
ლი სიტყვით შეთხული უჩვეულო
ლიტერატურული სიმფონიაა, სიმ-
ფონიური პოემა).



გენერალური სამსახურის კონსტიტუცია

ამ შემთხვევის შემდეგ მეგობრებმა მირჩიეს, და მეც გადაუწყვიტებ, რომ მცირე ხნით მანც გავუცლოდომ დედაქალაქს. ავდექიო ერთ კვირა დილით, ნავოვანეულ ცოლ-შვილი, მთელი ოჯახი, ანუ ფანია, როგორაც ძველად მეგრელების ოჯახს ეძახდნენ, და ნავარითომ ძველ აბაშიში, მსოფლიოში ერთ-ერთი პატარა მდინარის აბაშის პირას, ჩემს მამაპაპულ ღდაპადეს შევეხიზნეოთ... სხვათა შორის, ნესად მქონდა, გავლისას თუ გამოვლისას აუცილებლად უნდა შემევლოო სვეტიცხოველში. ეს წესა არც ამჯერად დამიროვებაო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სხვა დროსთან შედარებით ახლა ბევრად დიდხანს შევჩერდოო ტაძრის იმ მხარეს, სადაც არსაკიძის მარჯვენა გამოსახული. ამ მზე-რა-ცქერაში მარჯვენამ თითქოს ჩემში გადმოინაცვლაო და რაღაც ნაპერნეკალმა გამითბოო გულის კუნძული. მგონი, იმ დღიდან ამე-ვიატაო არსაკიძის ბედი და მოსვენება დამაკარგვინაო, უსახელობის სიკრიფიდნ გამოყვანას მთხოვდაო. ეს გულთან ჭიდოლი რამდენიმე წელინადს გაგრძელდათ, და ვითარცა მოითარი არქიტექტორებას,

„დიდოსტატიქა“ იმთავით ვე
მიიქცია მკითხველის ყურადღე-
ბა. როგორც ბატონი კონსტანტინე
იგორებდა, „დიდოსტატიქს“ ერთ-ერ-
თი პირველი გამოცემა სიმონ ჯა-
ნაშიას წაულია მოსკოვს და ბერიას
ხელით გადაუციათ სტალინის თვისის,
რომელსაც თურმე იმ ღამესვე წა-
უკითხავს იგი და ბერიას თვის ვე
უთევამს, გამასახურდია უთურდ
კარგი მნერალი ყოფილაო. მაგ-
რამ სტალინური პრემია რატომძაც
არა და არ გაუმეტებიათ. არც პირ-
ველი წარდგენისას და არც მეო-
რეხელ... იმსანად უურნალ „ნოვი
მორ“-ში დაბეჭდა ვიტორ შელოვ-
სკის კრიტიკული წერილი „დავით
ალმაშენებლის“ პირველი წიგნის
გამო. შელოვსკის აზრით, გამასა-
ხურდიას ეს ისტორიული რომანი
ბაგრატიონთა სამეფო ინისტიტის
და, კერძოდ, თვითონ დავით ალ-
მაშენებლის აპოლოგიაა. ბატონ
კონსტანტინებს ამ ამბავთან დაკავ-
შირებით იმუშამინდელი მთავრობა
ჩაურევია საქმეში (ჩარკვიანიც და
ბაქრაძეც) და „ნოვი მირში“-ვე უპა-
სუხებია შელოვსკის თვის.

ასე იყო თუ ისე, ამბობდა კონს-
ტანტინე ბატონი, ჩემი კვეყნის ფარგ-
ლებს გარეთ გაშევება არ უნდოდათ
- ქართულ სიცოცეში დამტოვესო,
რაც ჩემთვის მინჯვანანც ძლიან
გულსატყენი არ იყოთ. თითქოსდა
ყოველივე ამის ასანაზღაურებლად
მნენან გამომიყენის, ააღთხა-
ლი „ვილისი“ და ფართობიო, სადაც
კოლხური კოშკა ავაშენეო...

აბაშიში ოჯახით გადაცხოვრებული შემოდგომამდე დავკრჩიო, ასესობაში ის ჩემი მოწენილო რუსი მეზობელი ისევ მოსკოვს გადაეყენათ. ამით, მართალია, სამგლეთი არ ამოვარდნილია, მაგრამ მაინც იმედინად დატერინდით დედაქალაქი. ქვეყანაზე უკვე მოის საშინელი სუნი იდგაო...

„ლაციტის“ ბეჭდვა „მნათობბა“
დაიწყო, მგრი, გრიგოლ აპაში-
ძის რედაქტორობის დროს, მაგრამ,
როგორც მახსოვეს, ბეჭდვა მაღლევი
შეწყდა...

ո՞մ գլուզընի ե ծովագ դաժողով
ր շրջապահութիւն, թշամյ սարտուլ նց
ի հագուղա սասակութամնեղողնի, սագաւ
„լանդութեան լաւուրա“ նինյողովա.
ոյզը զերուն ե սածարնի մեղորուն աց-
ի չափուն դա որ-սա սա սամտորուն
մուտքանունդ մշակեօնտազուն, ես ան
մույուղագուց մուշյունդ, առ մոխու-
րա ցամսասցրդուս եղելություղուն-
ծառ, ե ծովագ ամեղովա աստութեա-
նու ցոլուր ունասցուղու, րումեղուց

ცოლთან ერთად იმხანად გამომ-
ცემლობაში მუშაობდა.

დავითს აუცილებლად შეას-
ვედრეთ, მტედლიშვილს, - გა-
იხუმრებდა ხოლმე საზამთროზე,
ჩემთვის დიდად სასიხარულოდ და
სასიამონოდ ერთხელაც, როგორც
იქნა, დაზავდნენ კონსტანტინე და
დავითი. ჩემს ოთახში შერიგდნენ,
დავითმა ბოდიში მოუხადა, ხომ
იცი, როგორც რედაქტორი, ყო-
ველთვის ჩემს თავს არ კვეუთვა-
ნიო. კონსტანტინემ, შემინდიაო,
მაგრამ იკორდეთ, სულაც იმიტომ
არაო, რომ ჩემი შეიძლიაო, ზევადს
ისედაც ყველა და ყველაფერი მტრი
კუთვნისო. თუ სიმინდა პირობებით
შეიქმნაო, ზევადი იქნებ საქართ-
ველოს პრიზიდენტადაც მოევლი-
ნოს, იწინასწარეტყველასაკით.

ଗୀତିପ ମାକ୍ସମ୍ବେ, ରୀମୋ ସାମତାଙ୍କ
ରାନ୍ଧିମ ତ୍ରୈଲ୍ୟେଜନିକଟ ରାମଦ୍ଵାରାର୍ଥମ୍ଭେ
ଶ୍ରୀକାରାଜ୍ୟ ନେଇ ମୁଖ୍ୟେଷ୍ଟିଶ୍ଵରିଲ୍ଲେ,
ଏକାଧିମନୀ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତିକାନ୍ତି, ଓ ଉଚ୍ଚାଶ୍ରୀ
ପର୍ଯ୍ୟନ୍ତିରୀ, ରାନ୍ଧିମଦ୍ଵେ ଶୁଣିବା ଅନ୍ତରାଳରେ
ପାଞ୍ଚମୀ ନିଧାରିନ୍ଦ୍ରିୟରେ ଏବଂ ଏକାକି ବାହ୍ୟ-

— — — — —

გაამხნევა

აქ. ალბათ, უპრინანი იქნება, თუ
რამდენიმე მცირე ეპიზოდურ ამ-
ბავსაც გავიხსენებ. მგონი, პატარა
შტრიხიც არ უნდა დაკარგოს, რაც
დიდ მოძღვარობას არის დაკარგირე-
ბული. ხან პატარა ამბავშიც უფრო
კარგად ჩანს ადამიანის სიდიდე...
იმასაც უთუთ დარკვეული მნიშ-
ვნებლიობა აქვს, ვისი მეტობარია
მნერალი, რას იკავს, რა აწებებს.

მწერალთა კავშირში გიორგი
შატერიალშვილის სამართლიანად
გახმაურებული „მევდრის მზის“
განხილვა მოწყობით მომსხვენებელმა
ბესო უღენტმა თუ არ მომწონა, პო-
ლო-ბოლო, თითქოს არც დაინტუნა
მოთხოვთ, ისე, კომპოზიციურად
ვერ არის შეკრულოთ, მოთხოვთის
ბოლოში გასული მეითხველო დაბ-
ნეულია, თავისი ნილი საჯილდაო
ქვა ვერც მწერალმა ასწილდა იმ
ქვას ვერც მკითხველმა გაუტარა
ქვემ ქართველი ურთის სიტყვით, ბესომ
ჩვეულ ხერხს მიმართა და ყველა-
ფერთან ერთად არაფერო თქვა.

კონსტანტინებ, უტყობა, ველარ
მოითმინა და აიჭა ტრობუნაზე.
ბესო, ნუ მიწყენო, მაგრა გიორგის
ეს ნამდვილად კლასიკური ნანარ-
შოები, როგორც ჩანს, ზერელედ,
ნაჩერავედ წაგიკითხავსო, ის
საჯილდაო ქვა შენ ვერ აგინევი-
აო, როგორც კრიტიკოსს და ამ
მხრივ, შენს სისუსტეს მწერალსა
და მკითხველს აპრალებო. ბესომ
შეპასუხება დააპირა, ნამოდგა
კიდეც, მაგრამ მალევე ისევ სა-
ხეაჭარხლებული დაჯდა, თუმცა
სინითლე არც ისე აკლდა.

საერთოდ, გიორგი შატბერი
რაშვილი კონსტანტინეს თავის
უმრნებელი მეგობრად მიაჩნდა და
შატბერა შეიძლების სტუმარიც იყო
რამდენჯერმე სოფელ თვალადში
(კავთისხევში). ჯერ კიდევ ცოცხალ
თითო-ორთლა მიმხცოვანებულ
თვალადებეს კარგად ახსოეს თვა-
ლადში ძვირფასი სტუმრის ჩასვ-
ლა. სხვათა შორის, კონსტანტინემ
გიორგის საფლავზეც წარმოოქვა
სიტყვა. გიორგის მეუღლეს ქალ-
ბატონ ნათელას მერეც ხშირად
ურეკავდა. მართლაც რაინდული
მეგობრობა იცოდა ბოლომდე. თა-
ვის უმრნებელ მეგობრებად მიაჩნ-
დნენ იოსებ ნინეშვილი და შოთა
ნიშნიანიძე, რომელთაც ნირველი
სიყვარულით ეცცეოდა.

კონსტანტინე ბატონი ცელის განვითარებული რევაზ ინანიშვილის პროგრამას. ეს ყმანგილი პირდაპირ ხატავს სათემოლს, ნამდვილად სიტყვით ფერმენტია (მე და რეზო ერთი ხანი გამომცემლობა „სამშობლოს“ მეოთხე სარიცელზე ვიყავით. ის „დილის“ რედაქტორი იყო, მე „უკვე „საზორისოსა“ და ხმირად გვიხდებოდა ერთად ყოფნა). ბუნებრივია, რეზოს ძალიან ეამატებოდა ბრძენი მოძღვრის ასევე მაღალი შეფასება.

მით უმეტეს, რომ კონსტანტინეს
ყასიდად ვერავინ ვერაფერს ვერ
ათქმევინებდა.

რეზონჸე ადრე „დილას“ რე-
დაქტორობდა ცნობილი „დაბა-
ლი ღობის“ ავტორის, ალექსან-
დრე მრევლიშვილის ქალიშვილი,
უსათხოესი მაყალა მრევლიშვილი,
როგორც რომ მოზრდილთა, ისე
პატარების უსაყარლესი პოეტი,
რომლის ფრანგულიდან გადმოქარ-

თუ ლებული „ტილ ულენშპიგელი“
იმ დროს საყოველთაო სკოთხაფი
გახდა. კონსტანტინე ბატონშვილი
დიდად შექმნა ქალბატონი მაყვალდას
საბავშვო პოეზია. ჩემს ოჯახში პა-
ტრარებს სულ „კილი, კილი კიბე-
სა“ და „ეს სანწალი კურდელი“
აკერიათო პირზე. რაც შეეხება
„ულენშპიგელს“, მაყვალდაშ ნამდ-
ვილად დიდი ქართული საქმე ჰუ-
ათიანად მოახელეობილა.



ԱՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ

თბილისში დაგებადე და გვაიზარ-
დე, ორბეჭიანის ქუჩაზე კოლმეურ-
ნების მოედნის ქვემოთ. მასხოვს
კოლმეურნების მოედანი, სადაც
ყავილების ბაზრობა იყო და სადაც
ნანას რვა მარტის იტი ვუყიდე. ნა-
ნა ჩემი პირველი სიყვარული იყო —
ულამაზესი სომეხი გოგო, თეთრი,
ნაზი და მწვანეთვალება. ჩემს სკო-
ლაში, რომელიც აღექასანდრეს ბაღის
წინ და ამერიკის საელჩის გვერდით
მდებარეობდა, ბევრი სომეხი, რომ
და თათარი სწავლობდა. სკოლა რუ-
სულენოვანი იყო და, ალბათ, ამით
აისხება მონაცემებს ასეთი მრავა-
ლეროვნული შემსადგენლობა. მხო-
ლოდ მე და ლევანი — ორი ქართველი
ვიყავით ჩემს კლასში. ლევანი, ჩემი
საუკეთესო მეგობარი, ჩემი განუყრე-
ლი ამიგო. ჩემ ერთად დავდიოდით
მყრალ სახინკლეში და ხინკალს და
ბურასს მიერითოდეთ სახინკლეში
მაღალი, მრგვალი მაგიდები იდგა
და ამ მაგიდების ზედაპირს ძლიერ
ვწვდებოდით. სახინკლე აყრილებუ-
ლი კაცებით იყო ხოლმე სავსე, დიდი
კაცებით, რომელიც ჩემ მტრულად
გვიყურებდნენ და თავიანი მზერთ
თითქოს გვეკითხებოდნენ: „თქვენ აქ
რა გინდათ, ნაძიქვრებორ?“ მაგრამ
ჩემ მანც დავდიოდით, პატოსნად
ვდგებოდით რიგში და ვუკვეთდით
ოც ხინკალს და ბურასს. ხინკალს

კოლორი. მამა ჩიგბურთელი მყავა-და, საბჭოთა კავშირისა და ეკრანის მრავალზე ის ჩემპიონი. მამას ძალიან იშვათად ვნახულობდი, ვინაიდნ ის კაზრეთში ცხოვრობდა. ვერც მას ვნახულობდი და ვერც დედას. მამა შეჯიბრებებზე დატოვდა და დედა სულ მუშაობდა, ან იტალიაში და პორიზში საყვდლებზე მეტმზავრობდა ხოლმე. მოკლედ, არავის ვალელვებდი ბებო ვერას გარდა. ბებო ვერა ძალიან მოხუცი იყო, რომელიც, იმსა მიუხედავად, რომ მეტაური სართულზე ცხოვრობდით, ფეხით ჩადორდა და ყიდულობდა თავისითვის პრიმას, მერე ამოდიოდა და წყარად თავის-თვის ეწეოდა. ბებო ვერას, მას მერე, რაც მეუღლე მეორე მსოფლიო იმში დაეღუპა, თმა სულ გაუთორდა და აღარაუერ ანთქერესებდა უყვარ-და თავისი ქმარი და ვერ გდაიტანა მისი სიკვდილი. ვერ დაივიწყა, არ დავიწყა, ბატონი გალაკტიონის „მე-საფლავის“ გმირისგან განსხვავებით. არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ დალატობენ სიყვარულს, ინარჩუნებენ ლირსებას და სიკვდილამდე გარდაცვლილ საყვარელ ადამიანზე მოგონებებით ცხოვრობენ. ბებო ვერამ ვყელაფერზე უარი თქვა და ერთგული დარჩა. არც მეორედ გათხოვილა და არც სასიყვარულო რომანები ჰქონია სხვა მამაკაცებთან. თავისი მეუღლისგან მხოლოდ ერთი ნივთი შემორჩინა. ეს იყო ძველი, გარეთოდებული „კომანდორსა“ საათით შევი ტყავის სამაჯურით და პრიალა, უზაღა ციფერბლატით. ბებო ვერა სალამიობითი ჩაიკეტებოდა ხოლმე სამზარეულოში, დაიდებდა წინ საათის, მოუკიდებდა თავის პრიმას და ინყბებდა ფიქრს წასულ მეუღლეზე... ისენებდა წარსულ დროს და თვლები ცრემლით ევსებოდა. დედაჩემ და მამაჩემი კარგად არ ეცეკონდნენ და მეც ძალიან ვაწვალებდი. ფინანსურად არ უჟირდა — ჩევნ ვაჭმევდით და ვასმევდით, მაგრამ მორალურად განადგურებული იყო. ეს თვალებში ეტყუბოდა — ჩამერალი იყო სხვივი და მხოლოდ მაშინ განათებდა ხოლმე, როდესაც თავისი მეუღლის საათს დაპურებდა.

რა თქმა უნდა, მე ვიკოდი ამ საათის არსებობს შესახებ და სულ ვცდილობდა, როგორმე ჩამეგდონ ხელში. ხან ვეხვენებოდა, ხან მეცრად მოვითოვდა. ერთხელ მოპარეაც ვცადე, მაგრამ ბებო ვერა ვერ ელეოდა მას თუნდაც რამდენიმე საათით. მოკლედ, ცხოვრება მიმდინარეობდა ჩვეულებრივად: ლევანი, სახინკლები, ნანა, სიყვარული, მიტინგები და ა.შ.

ერთ მშენერ დღის ბებო ვერა მოვიდა ჩემთან და თვითონ მითხრა: „ბებო, თუ გინდა, დღეს საათს გათხოვებ ერთი დღით.“

ახლა მოგცემ და საღამოს, სახლში რომ მოხვალ, უკან დამიბრუნებ“. „კარგი, ბებო!“ — სიხარულის-გან თავი ვერ შევიკავე და აღფირთოვანებულმა დავამატე: „შენ საუკეთესო ბებო ხარ მსოფლიოში!“

მართლა გამიხარდა და, სანამ გადომოცემდა, უკვე ნარმოდეგენილი მქონდა თუ როგორ გავიკეთობდი ხელზე და როგორ ვიტრაბაბებდი ლევანისა და სხვა მეგობრების წინაშე. ეს არ იყო უბრალო ამბავი — ამ საათის ტარებით მე ჩემი კლასელების თვალში გავიზრდებოდი. შეიძლება, ნანასაც კიდევ უფრო მოვწონებოდი. ეს საათი იყო ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩემი იმიჯის ასამაღლებლად და მე ეს კარგად მესმოდა.


მოკლედ, გამოივართვი საათი და ვერევე აბაზანში გავარდი. პირი დავიძანე, თმას არასაჭროს ვიკარცხნიდი, მაგრამ ამ დილით დავისეველე და დავიკარცხნე. ჩავიკვი თეთრი მაისური და საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ჩემი ძმის ჯინსები. ჩაიზიდე სარკე-

თუ და ძალიან ფრთხოლად გავიკეთე საათი ხელზე. ისეთი შეგრძნება დამტკუთღა, თოთქოს ნიცხეს ზეპაცი გავხდი, რომელსაც კველაფერი შეეძლო. დედიჩემ დავემშვიდობებ მაღალ-ფარდოვანი სიტყვებით, რომლებიც საათის გაეკეთებამდე, არც კა მეგონა, თუ ვაცოდო, და გავწინ სკოლისკენ.

სკოლაში ყველა აღღრთოვანებული იყო ჩემი საათით. შევამჩნიერ, რომ მასნავლებლებიც კი დასტერებოდნენ. ნნაბამაც შემაჩნია და მითხრა, მაგარი საათიაო, რაზეც მე ლიმილით ვუპასუხე: „მადლობა“. გაეკეთილები ჩემთვის უაზროდ მიდიოდა. ისედაც არ მანტერესებდა, რასაც გვასნავლიდნენ, იმიტომ, რომ არ მიყვარდა ეს ვითომ ცხოვრებისთვის მომზადების პრიცესი რაღაც ფორმულის და სტანდარტების მიხედვით. ცხოვრება ძალიან როტული და კომპლექსურია, რათა ნინასნარ მოემზადო მისთვის. კი, მათემატიკა და სხვა საგნები, წესით, ლოგიკისა და აზროვნების უნარების განვითარებისთვის იყო კარგი, მაგრამ ამის განვითარება სხვანაორადაც შეიძლებოდა. მით უმეტეს,

საათი

მხატვარის გამოსახული ნიკოლაევის



မိမိ အာရုံး ပေါ်လျှင် မြတ်စွာ ဖြစ်တယ်။ ဒါနဲ့ မြတ်စွာ ဖြစ်တယ်။ ဒါနဲ့ မြတ်စွာ ဖြစ်တယ်။

ლებდა ჩემს საათს. მოკლედ, მას მერე, რაც ბოლო ხინჯალი შეიტანა და „კვასის“ ბოლო ყლუპი დაილია, სახინჯედან გამოვედოთ, ფული, რა თქმა უნდა, მე გადავიხსადე. ლევან-საც და განსაკუთრებით მანუჩარს, ძალიან უჭირდათ. გარეთ, ყვავილების ბაზრობის მოპირდაპირედ მდებარე პურის მაღაზიასთან გადავწყვიტეთ, წავსულიყავით დინამის კორტების უკან მდებარე ბაღში. თუ არ უცდები, დღეს მას დედანის ბაღი ჰქვია. ამ ბაღში ჩევნ ხშირად დავდიოდით და უყურებდით, თუ როგორ ეალერსებოდნენ ერთმანეთს შეყვარებული წყვილები. ბაღი ცარიელი დაგვხვდა. მანუჩარმა ამოილო სიგარეტის კოლოფი და ჩევნ სათთაოდ მოუყენდეთ სიგარეტებს. სიგარეტისაგან თავპრუ დამესხა, მაგრამ არ შევიმჩნიე. მერე ჩავდიოთ მტკვრის პირას და ერთ მიტოვებულ ნავზე ავედით. ბოლოს და ბოლოს, როდესაც უკვე მოგვებზრდა ერთმანეთან ყოფნა, უცბად და სრულიად მოულოდნელად მანუჩარმა პირდაპირ თვალებით შემომხედა და მითხრა: „თუ ეგეთი მაგარია: ეგ საათი, ხელზე რომ გიყეთია, აბა, მიდი, ქვა ჩაარტყო და ვნახოთ, რა მოუვა?!.“

გამიკვირდა, მაგრამ უკან ვერ დავიხევდო. უნდა დამეტტიციციონა ერთხელ და სამუდამოდ, რომ ჩემი საათი მართლა ძალიან მაგარი იყო. ავიდე დიდი ქვა და მთელი ძალით დავარტყო საათს. საათის ციფერბლატი დაიფშვნა. უცრად ვიგრძენი შიში. დავინწყე იმაზე ფიქრი, თუ რას ვეტყოლო ბებო ვერსა, როგორ ავესხნიდი ამას. ვერაფერი ვერ მოვიფიქრე. ლევანმა სევდიანად შემომხედა და მითხრა: „მგონი, შინ დაბრუნების დროა.“

სახლში რომ დავპრუნდი, მაშინვე სამზარეულოში შევედი, სადაც, საბედნეეროდ, ბებო ვერა არ დამხვდა. საათი მაგიდაზე დავდე და წავედი ჩემს ოთახში. ჩევნ სახლი ორ ნაწილად იყოფოდა — სამზარეულო და დანირჩენი ითახები, საძირებელი, „ზალა“ და ასე შემდეგ, სამზარეულოს და დანარჩენ ითახებს აივნი ყოფდა. მოელი დღე ვიჯეტი ჩემს ოთახში და ველოდებით, როდის შემოვიდოდა საჩხებრად ბებო ვერა, მაგრამ ის არ შემოდიოდა. სამზარეულოდან ხმა არ ისმოდა. ვიზუალურ, რომ, ალბათ, მაპატა და აღმო პირებდა ჩემს დასკას და გაკიცხვას. ბოლოს და ბოლოს, მოვედი ხასიათზე და ჩემი ძმის ჩამოტანილ ვიდეოში ეროტიკული ფილმის კასტა შევაცურუ. დედატენი მორიგე იყო საჭმობიროში და ღამე მინევდა მარტო დარჩენა. რაღაც დონეზე ვინერვოულე, ბებო ვერას საათი რომ გაუტეხე, მაგრამ მერე გადამიარა. „რა მოხდა მერე, საათი იყო, ნივთი და მეტი არაფერი“, — ასე ვიმშეიდებდი თაქს. ცველაზე მეტად ის მიეკირდა, რომ ბებო ვერა არ მოდიოდა ჩემთან და არ მეკითხებოდა, ეს რა ქენიო. ეს არა მხროლოდ მიკირდა, არამედ მანუხებდა კიდევაც. ძლიერ ჩამედინა. მერე დილას რომ ავდეჭი, ალარც მახსოვდა საათი. ჩავიცვი ტანსაცმელი, გავედი აივანზე და ჩავიხედე სარევში, რომელიც კარიდის კარზე იყო მიმარებული. მომენტა ჩემი თავი. სამზარეულოს კარი რომ შევაღე, დავინახე, როგორ დაესვა ნერტილი ჩემს სილალეს და ბავშვობას. ბებო ვერა იჯდა მწვნე დივანზე, მაგიდასთან. ნინ საათი და სიგარეტის კოლოფი ედო. პირი ლია და გაშეშებული ჰქონდა, იღმოდა და ამავდროულად ცრემლი მოსდომდა თვალებიდან. ვიგრძენი, რომ რაღაც არ იყო ისე და რომ რაღაც საშინელი მოხდა. გავარდო სამზარეულოდან და გავიკეთო ქეჩამი. დიდაბაშ მივრბოდ, ძალიან დიდაბაშს. ახლა ორმოცდორი წლის ვარ და კიდევ მივრბივარი ის სამზარეულოს ითახიდან შორს... როგორც მერე დედამ მითხრა, ბებო ვერას გული გაუსკდა.

ԵՐԱԾՈՒ

მარტვალი იაგო ნიკოლაძე



ნერმი სკოლის პერიოდში გვასწავლიდნენ კომუნისტების მიერ შეთხულ ცრუ ისტორიას და გვაითხებდნენ მშობლოდ იმ მნერლებს, რომლებმაც გაიარეს კომუნისტური პარტიის ერთ გულების ტესტი. არა, ეს ჩემთვის არ იყო და მით უმეტეს ახლა, როდესაც ბერ ვერას მეუღლის საათი მეკეთი. შესვერებებზე, როგორც ყოველთვის, დიდი აურზაური იყო ხოლმე, რომელ შეც, ჩემულებისამებრ, მცე გომნანილობდი, მაგრამ დღეს არა დღეს მე ამ ყველაფერზე მაღლა ვიდეები, გვერდიდან და ზემოდან თვალს ვადევნებდი ბავშვების თამაშს, სირბილს და ჩეუბს. ვიდეები კადელზე ზურგით მიუყდებული, ყველასგან მოშორებით და ვფექრობდი. სკოლის ზარის ხმამ გამომატებიზლა და შევვინ ბოლო გაკეთოდნებ. გაკვეთილი არ იყო საიტრერსო. დასასრულს მიუჟახლოვდნ ნანას. არ დამტკირებდი გამბედამის ელექტრის დალევა, უძრალოდ, დავაკერდი ჯერ ჩემს საათს, მერე ნანას და პირდაპირ ვუთხარა: „ნან, მოდი, დღეს კავეში დაგდატიუებ, სკოლის მერე, რას იტყვი?“

ნანა არ იყო მორიცდებული გოგო, თან, საათს რომ დახედა, აღბათ, გაახსენდა, რომ მაგარემი „ხრუსტალის“ ქარხნის დორექტორი იყო და დამთანხმდა. მოკიციდე მისი და ჩემი ზურგჩანობები და ნავიკებანუ ნაწევრ საკონფიტორ კაფეში, რომელიც ჩემ

ტომაც საქმაოდ პოლულარული იყო. ლევანია გადასძახა მანუჩარს, რომელიც მეზობლად ცხოვრიბდა და ჩეკინ გაეჭურეთ ჩეკეს. ფავორიტს სახინჯლეში, კოლმეურნების მოედანზე, ვატყობის, მანუჩარი ჩემს საათს თვალს არ აძრობდა და ხანდახან მის თვალებში შურისა და სიბოროტის ნაპერნკალიც გაიღლებდა ხოლმე, მაგრამ მე ეს არ მაშინებდა და არც მაბრაზებდა; პირიქით, მსამოვნებდა.

სახინჯლე, როგორც ყოველთვის, გადატენილი იყო ხალხით, მაგრამ ბედმა გაგვილიმა და ერთი მაგიდა თავისუფალი დაგვხედა. მანუჩარმა და ლევანმა დაიკავეს მაგიდა. მე ჩავდექი ხინჯლის რიგში. დიდხანს ველოდი, ვინაიდან ძალიან დიდი ქათის სუცევდა. ვინ ვის მერე იყო, ვერ მიხედვიდოდ და მხოლოდ არნახული სიმამაცის და ფუზიური მოხერხების შედეგად იყო შესაძლებელი შეკვეთის მიცემა. როგორც იქნა, შეუკვეთე ოცი ხინჯალი. რამდენიმე წუთის შემდეგ ხინჯალი მზად იყო და მივიტან მაგიდასთან. მე, ლევანი და მანუჩარი, იმის მერე, რაც მოვაკარეთ ხინკალს ბლომად პილპილი, შეუდევით ჭამას. თამადა მე ვიყავი და ბურახით ვსვამდით მეგობრობის, სიყვარულის, სამშობლოს და მშობლების სადლეგრძელოებს. მთელი ამ დროის განმავლობაში ვატყობიდი, რომ მანუჩარი თვალს არ აცი- ციდები ერთოტიცული ფილმის კასტად შევაცურე. დღეაჩემი მორიგე იყო საჭ-შობაროში და ღამე მინევდა მარტო დარჩენა. რაღაც დონეზე ვინერულება, ბებო ვერას საათი რომ გაფუტეხე, მაგ-რაც მერე გადამიარა. „რა მოხადა მერე, საათი იყო, ნივთი და მეტი არავერი“, – ასე ვიმშეიდებდი თავს. ყველაზე მეტად ის მიკვირდა, რომ ბებო ვერა არ მოგიოდა ჩემთან და არ მეყითხე-ბოდა, ეს რა ქენია. ეს არა მხოლოდ მიკვირდა, არამედ მანუხებდა კიდე-ვაც. ძლიერ ჩამებინა. მეორე დილას რომ ავდექი, ალარც მახსოვდა საათი. ჩავიცვა ტანსაცმელა, გავედი აივანზე და ჩავიხედე სარკეში, რომელიც კარიდის კარზე იყო მიმაგრებული. მომწინოა ჩემი თავი. სამზარეულოს კარი რომ შევალე, დაინიახე, როგორ დაესა წერტილი ჩემს სილადეს და ბავშვებას. ბებო ვერა იჯდა მწვანე დიგნზე, მაგიდასთან. წინ საათი და სიგარეტის კოლოფი ედო. პირი ღია და გაშეშებული ჰქონდა, იომიოდა და ამავდროულად ცრემლი მოსდომოდა თვალებიდან. ვგორძეო, რომ რაღაც არ იყო ისე და რომ რაღაც სამზარეული მოხდა. გავვარდი სამზარეულიდან და გავიქცე ქუჩაში. დიდხანს მივრმოდი, ძალიან დიდხანს. ახლა ორმიცდაორი წლის ვარ და კიდევ მივრმივარი იმ სამზარეულოს თოახიდან შორს... როგორც მერე დედა მითხრა, ბებო ვერას გული გაუსკდა.

► პირველი განცხადა

ტარიელ ხარხელაური



ჩემში აღარ დატოვეთ სიბრალული, არც ცრემლი,
თქვენგან უარყოფილი ტრადიციის მიზეზით.
რაც სტკონდა სამშობლოს, ზიდა ჩემმა სხეულმა,
რომ ამ მღვრიე ქაოსში სული გადამრჩეოდა,

და
თქვენგან განსხვავებით, თქვენგან გამორჩეულად,
ამ ბედერული მამულის არასოდეს მრცხვეოდა.
და ეს ბოლო წლებია, რომ დამჩემდა შიშები,
მინას დავშტერებივარ, მიჭირს მაღლა ყურება,
დავუჩიქებ ვარსკვლავებს და ცას ვებოდიშები,
დაგირღვიეთ სიმშეიდე წუთისოფლის მდგმურება.
როგორც გინდათ, განმსაჯეთ,

რაცა გსურთ, ის დამნამეთ,
მე ვაგრძელებ ცხოვრებას დროიმჭმული მითოსით,
თქვენთვის მისაღებია, მე კი მფლეოს და, მანამება,
როგორც ხვედრი ეპოქის – ცოდვა ოიდიოსის.

ახლა, ხეებო!

მხოლოდ ახლა ვგავართ ერთმანეთს,
არ მეშინია აღარც დამის ფიქრის სისველის,
თეთრი ნისლები მთებს გადაღმა გადაეფარნენ
მთები შიშველნი,

თქვენ შიშველნი

და, მე... შიშველი...

შეშფოთდით განა! არა მნამს რა ამ შეშფოთების,
შემომალენა დასალენი ჟამმა და ქარმა,
გაძარცვული ვარ,

თქვენც დაგცივდათ უკვე ფოთლები,
ო, რა მრისხანედ –
რა მრისხანეს ერთმანეთს ვგავართ.
თქვენ უჩემობა არა გტანჯავთ, მე ახლაც მიჭირს,
გაძარცულ ტანზე გაყინული მზერის შევლება,
თქვენ არასოდეს არა გლრნიდათ მსოფლიო იჭვი,
თქვენ რომ გიყურებთ, ჩემი იჭვიც შეკრთა, შენელდა.

ო, ნუ აპყვებით, სანატრელნო, შეშლილის ზრახვას,
ეს უმონყალო საუბარიც გულიდან ჯავრს მხსნის,
თქვენს ხმელ ფოთლებთან დამიტირეთ,
ჩემს იმედს ვმარხავ

და მეც თქვენსავით მეშინია ქარის და ზამთრის,

ხედავთ?! სადამდე დაიყვანა შიშმა გონება –

რა დაუფინა განედლებულ ფიქრებს სათავედ,

და გამაქეზა ტკივილების მოსაგონებლად –

ამ გვიან ღამით

შეგხვედროდით თქვენ და საფლავებს.

ახლა, ხეებო!

მხოლოდ ახლა ვგავართ ერთმანეთს...

შეაღამეა, თვალებს ძილი არ ეკარება...

შეაღამეა, შენზე ფიქრმა დამიმარტოვა,

მთელი სამყარო ჯოჯოხეთურ მექცა ნამებად,

მოძრაობაა პლანეტათა და მე მარტო ვარ.

რად ხდება ასე –

თვალებს ცრემლებს რატომ უუმალავ,

სხვა მუსიკას ვწერ

დამწუხებულ გულის თრთოლიდან,

ჩემთან ნოემბრის ცივი მთვარე არის სტუმარი

და სხვა არავინ –

მთვარეც შენზე ფიქრით მოვიდა.

კუყურებ სივრცეს, ველოდები ფერებს მიღმიდან,

სივრცე მდუმარებს,

ო, მდუმარებს სივრცე საშინალად,

საშენო ნიღაბს მიღიარდი ვარჩევ ნიღბიდა –

შენი სახიდან არსებული ყველა წაშლილა.

რაა ეგ სახე, ვერანაირ ნიღაბს ვერ ირგებს,
ვერ ვნერ შენს სურათს, გაშრა ფუნჯი, რა ემართება,
ახლა სარკმლიდან
ჩამოთოვილს გავყურებ მინდვრებს,
და ვუმზერ სივრცეს, ვუმზერ სივრცეს – ყვითელ ნათებას.

ო, რა მცირეა დედამიწა, როგორ პატარა,

შევუდგამ ხელს და,

ხელისგულზე თითქმის ეტევა,

წყეული იყავ, სულო ჩემო, თუკი სატანამ

გარდა ლირიკის – სხვა ენაზე აგამეტყველა.

ვინა ვარ ახლა? შენ შეშლილის დასვამ დიაგნოზს,

დასვამ დიაგნოზს, ჩაილიმებ შენთვის მარტივად,

ლექსიც ვერ შევემენ ჩემს ტკივილზე –

სულულ გიამბოს,

რა მტანჯავს ასე, რა მანამებს, ასე რა მტკივა...

ხედავ, ძვირფასო, რა არა ვთქვი, მივედ-მოვედე,

სადღა არ ვათრევ წყეულ სხეულს

სულთან უფრთხოდ,

ასეთი ძალა ვინ დაუთმო შეშლილ პოეტებს,

ანდა, ამდენი რატომ მისცეს თავისუფლება...

შუაღამეა... თვალებს ძილი არ ეკარება...

მე დაგვესრულე

სამყაროს დარდად,

დღეს ამ ქარებმა უნდა შემშალონ,

ირგვლივ

ყველაფერს ვიწოდი ხარბად,

გენაფებოდი ხარბად, მზექალო...

ვანგრევდი, ვემნიდი,

და ისევ ვშლიდა,

ყველგან ფერფლსა და,

ნაცარს ვტოვებდი,

მე ჯავრს ვიყრიდი

თქვენი სიმშვიდით,

თქვენ გიზიდავდა ტანჯვა პოეტის.

ვიცი, მზექალო, ჩემი დრო მოდის,

რაც მტვრად ვაქციე,

არაფერს ვნანობ,

მე მოვპრუნდები, ვინ უწყის როდის –

თუ გინდა, ნამ თო ...

ეს სახლი, ალბათ, ნასახლარად დარჩება მერე,

ამ სოფლიდანაც ნასოფლარი დარჩება ბოლოს,

ამ გზებიდანაც აღარასდროს არ ავა მტვერი

და საფლავები შემორჩება სამყაროს ხსოვნას.

მივდივარ აღმა,

თავდახრილი ვჩურჩულებ ჩემთვის,

მივდივარ აღმა, ვიცექირები დროდადრო ცერად,

ჯერ კი

ვიღრემდის ვმოძრაობ და, ცოცხალი მეთქმის,

ავად თუ კარგად ცოცხალი ვარ, ცოცხალი ჯერაც.

ჩემს სიცოცხლეშიც მეპარება ხანდახან ეჭვი,

როცა იღვიძებს სურვილი და, ზეცას შევყურებ,

ვჯდები გზისპირზე

და ვაგროვებ სისხლისფერ კენჭებს,

და ვასაფლავებ ჩემს ნაფერ ფურცელს...

რად უყვარს ანმყოს წარსულის ქექვა,

ამ შავ ფერები რას რა იძიებს,

და ღამეები საშინალად თეთრი

რად ანგებიან ჩემს სულ სიმძიმედ.

რატომ დავდივარ აჩრდილებს შორის,

ხმა მისტიკური მხიბლავს ზარების,

და მივსდევ მღვრიე ცრემლების მორევს,

ცრემლივით მჭლე და, ნაფერმკრთალები.

აღარც მისტიკა, არც მზე, არც მთვარე,

და ეწურება ყავლი მაგის,

ო, რა მსუბუქად ათოვლს საფლავებს,

სხვა ყოველივე მხოლოდ ყალბია.

თითერს დღე მანც არ იყო სავსე,

ეს დღე, რომელიც ჩემთვის ჩამოდნა,

საფლავის ლოდებს ეხვია ხავსი,

და საფლავებზე შაშვი გალობდა.

თოვლს დაეფარა ყველა ბილიკი,

თოვლდა და, თოვლი პგავდა ზმანებას,

სასაფლაოდან მსუბუქ ლირიკით

ქარი ვერხვთა მწკრივს ახმიანებდა.

აღარს მისტიკა, არც მზე, არც მთვარე,

და ეწურება ყავლი მაგისა,

ო, რა მსუბუქად ათოვლს საფლავებს,

სხვა ყოველივე მხოლოდ ყალბია...
